ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №614212

ნომერი: AR1118643

თარიღი : 22.03.2013

გაცემის თარიღი : 12.04.2013

გაცნობის თარიღი : 12.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დედაენის პარკის ტერიტორია , (ნაკვ. 03/003) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სულავა პ/ნ 01024080499
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 9 ბ. 42

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.18.03.003.003 მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს: პარკი; ბაღი; სკვერი; ბულვარი; დეკორატიული გაფორმების ობიექტი; მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანგატური, პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შადრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, კასკადი, არხი, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვა; სკულპტურულ-არქიტექტურული მონუმენტი; სპორტული მოედანი; პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი; სავაჭრო კიოსკი, სავაჭრო და საგამოფენო პავილიონი; ატრაქციონი; საწყალოსნო ობიექტი (ნავმისადგომი, ელინგი); საზოგადოებრივი ტუალეტი;
ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0.2;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=—;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=—;

ტერიტორია მისამართით ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტრია (საკადასტრო კოდით #01.18.03.003.003) მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, ამის გამო საკითხი იქნა განხილული საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ (იხ. დანართი ოქმი #12 (26.03.13.)), სადაც გადაწყდა დადებითად.

რადგან სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრის კვების ობიექტის (კაფე) განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე, საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (იხ. დანართი ოქმი #12 (27.03.13.)), სადაც გადაწყდა დაებითად და ქალაქ თბილისის მერის #624 (02.04.13.) განკარგულებით (იხ. დანართი) გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.18.03.003.003 საზოგადოებრივი კვების ობიექტის (კაფე) განთავსების თაობაზე.

ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტრიას (საკადასტრო კოდით #01.18.03.003.003) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რომელზეც თანახმად საქართველოს კანონისა ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ვრცელდება უძრავი ძეგლის მიმართ კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი, რომლის თანახმადაც მასზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არ გაიცემა.

მშენებლობის ნებართვის II და III სტადიის გასავლელად საჭიროა Tas. ge-ზე ელექტრონულ განაცხადში, მშენებლობის ნებართვის შესაბამის ველებში აიტვირთოს მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტაცია და წარადგინოთ ზემოხსენებული ოქმები და ქალაქ თბილისის მერის განკარგულება.

(დანართი: ცხრა გვერდი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.